

ტესტის სახელწოდება

მარტივი ჰერპეს ვირუსი (I და II ტიპი) HSV ტესტი

ალტერნატიული დასახელება:

მარტივი ჰერპეს ვირუსი (HSV-1/HSV-2) IgM ანტისხეულები

მარტივი ჰერპეს ვირუსი (HSV-1/HSV-2) IgG ანტისხეულები

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

HSV ტესტი ადგენს სისხლში მარტივი ჰერპეს ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების არსებობას.

ჰერპესი - TORCH კომპლექსში შემავალი, საკმაოდ გავრცელებული ვირუსული ინფექციაა, გამოწვეული მარტივი ჰერპეს ვირუსით (HSV). არსებობს ვირუსის ორი ტიპი - **HSV-1** და **HSV-2**.

- ✓ **HSV-1** იწვევს ბუშტუკოვან ან ჰერპესულ გამონაყარს პირის ირგვლივ (ორალური ჰერპესი)
- ✓ **HSV-2**, იწვევს ბუშტუკოვან ან ჰერპესულ გამონაყარს გენიტალიების არეში (გენიტალური ჰერპესი)

მარტივი ჰერპეს ვირუსის გადაცემა შეიძლება მოხდეს ბუშტუკებთან უშუალო კონტაქტისას. HSV-2 სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციას წარმოადგენს.

HSV ორივე ტიპს ახასიათებს რეციდივები - პირველადი ინფექციის გადატანის შემდეგ, ვირუსი ლატენტური ფორმით რჩება ორგანიზმში. სტრესისა და სხვადასხვა დაავადებების დროს ვირუსი შეიძლება გააქტიურდეს. იმუნოდეფიციტური მდგომარეობების დროს მაგ. აივ ინფიცირებულ პირებში ან ორგანოთა ტრანსპლანტაციის შემდეგ, ჰერპესვირუსულმა ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს ხშირი რეციდივები სერიოზული გართულებებით.

ორსულები ჰერპესვირუსული ინფექციით რეგულარულად უნდა იტარებდნენ მონიტორინგს ვირუსული ინფექციის რეაქტივაციის გამოსარიცხად და მშობიარობის მეთოდების დასაგეგმად. ჰერპესვირუსული ინფექციის რეაქტივაცია საკეისრო კვეთის ჩვენებას წარმოადგენს - საკეისრო კვეთას მიმართავენ ახალშობილის ინფიცირების თავიდან აცილების მიზნით.

იშვიათ შემთხვევებში, HSV შეიძლება გამოიწვიოს ენცეფალიტი ან მენინგიტი, თავისა და ზურგის ტვინის სიცოცხლისათვის საშიში ინფექციები. ჰერპეს ვირუსი ასევე საშიშია ახალშობილებში. მშობიარობისას ვირუსი ინფიცირებული დედიდან ჩვილს შეიძლება გადაეცეს. ნეონატალურ პერიოდში დაავადების სიმპტომები ვლინდება პირველივე თვეებში, რომელიც არანამკურნალებ შემთხვევებში იწვევს სიცოცხლისათვის საშიშ დაზიანებებს.

როდის ტარდება ანალიზი?

HSV ანალიზი ტარდება, როცა:

- ✓ გამოხატულია ჰერპესის სიმპტომები, ბუშტუკოვანი გამონაყარი გენიტალიებზე ან სხეულის სხვა ნაწილებში
- ✓ სექსუალურ პარტნიორს აქვს ჰერპეს ვირუსული ინფექცია
- ✓ ჰერპესვირუსული ეტიოლოგიის ენცეფალიტის სიმპტომების არსებობის დროს (ცხელება, ძლიერი და მუდმივი თავის ტკივილი, კისრის კუნთების რიგიდობა, სინათლეზე მგრძობიარობა, ფსიქიური ცვლილებები, ლეთარგია)
- ✓ ინფიცირებულ ორსულებში რეგულარულად. დედისა და ახალშობილის გამოკვლევა ხდება ჩვილებში მენინგეალური ნიშნების გამოვლენისას, ან როდესაც კანზე ჰერპესვირუსული გამონაყარის არსებობაზე ეჭვობენ.
- ✓ სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების არსებობის შემთხვევაში, როცა არსებობს HSV ინფიცირების რისკ-ფაქტორები: მრავლობითი სექსუალური პარტნიორი, ჰომოსექსუალები, აივ ან სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების მქონე პარტნიორი.

როგორ ტარდება ანალიზი?

ანალიზისთვის საჭიროა ვენური სისხლი.

როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის?

ანალიზი არ საჭიროებს სპეციალურ მომზადებას.

შედეგების ინტერპრეტაცია:

ანალიზი გამოავლენს ჰერპეს ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულებს - ორგანიზმის იმუნურ პასუხს ვირუსულ ინფექციაზე. ორგანიზმი გამოიმუშავებს 2 ტიპის ანტისხეულებს. პირველადი ინფიცირებიდან რამდენიმე დღეში გამოიმუშავდება IgM ანტისხეულები, რომელიც სისხლში რჩება რამდენიმე კვირის განმავლობაში. შემდეგ იწყება IgG ანტისხეულების გამოიმუშავება. IgG დონე მატულობს რამდენიმე კვირის განმავლობაში, შემდეგ კი თანდათანობით მცირდება და სტაბილიზდება. HSV ინფიცირებული ადამიანი განაგრძობს მცირე ოდენობებით IgG ანტისხეულების გამოყოფას.

- ✓ დადებითი IgM, ვირუსის ორივე ტიპისთვის (HSV-1/HSV2) მიუთითებს მწვავე (აქტიურ) ან ბოლოდროინდელ ინფექციის არსებობას.
- ✓ დადებითი IgG, HSV-1/HSV2 ვირუსის ორივე ტიპისთვის - წინამდებარე, ქრონიკული ინფექცია;
- ✓ უარყოფითი პასუხი ანტისხეულებზე ნაკლებად სავარაუდოს ხდის ჰერპეს ვირუსით ინფიცირებას, ან ორგანიზმს ჯერ არ დაუწყია ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების წარმოქმნა.